საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ეკატერინე კულულაშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	91	100

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 29.04.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ვასილ მშვენიერაძე

2024 წლის 29 აპრილი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ეკატერინე კულულაშვილის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. „საბჭოს“ 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე (3 ვაკანსიაზე) ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა.

1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა ეკატერინე კულულაშვილი (შემდგომში - „კანდიდატი“).

1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „კანონი“) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით,

„კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით, 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;

„დ“ წერის უნარი;

„ე“ ზეპირი კომუნიკაციის უნარი;

„ზ“ პროფესიული თვისებები;

„თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;

„ი“ პროფესიული აქტივობა.

აღნიშნული მახასიათებლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული ამ მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობები ერთმანეთისგან განსხვავდება და შემდეგნაირად განისაზღვრება:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა – 20 ქულა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 20 ქულა;

„გ“ წერის უნარი – 20 ქულა;

„დ“ ზეპირი კომუნიკაციის უნარი – 15 ქულა;

„ე“ პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში) – 15 ქულა;

„ვ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 5 ქულა;

„ზ“ პროფესიული აქტივობა – 5 ქულა.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. ***„საგჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:***

2.1.1. „კანდიდატი“ 43 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრი, გპი). სპეციალობით მუშაობს 22 წელია, მათ შორის - მოსამართლედ 9 წელი. კერძოდ:

- 2002-2004 წლები, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ჩუღურეთის ადვოკატურა;

- 2004-2005 წლები, თბილისის საოლქო სასამართლო, მოსამართლის თანაშემწე;

- 2005-2006 წლები, თბილისის სააპელაციო სასამართლო, სხდომის მდივანი;

- 2006-2013 წლები, თბილისის სააპელაციო სასამართლო, მოსამართლის თანაშემწე;

- 2013-2014 წლები, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, მართლმსაჯულების დეპარტამენტი, სისხლის სამართლის სპეციალისტი;

- 2014-2015 წლები, თბილისის საქალაქო სასამართლო, მოსამართლის თანაშემწე;

- 2015 წლის პირველი აგვისტოდან, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე, სამი წლის ვადით;

- 2018 წლის პირველი აგვისტოდან, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა, საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე, უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე;

- 2021 წლის 17 აგვისტოდან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის მოსამართლე;

- 2021 წლის 26 ოქტომბრიდან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო პალატის მოსამართლე;

- 2022 წლის პირველი ნოემბრიდან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე;

- 2023 წლიდან დღემდე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე და დაკისრებული აქვს ამავე სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება.

2.1.2. „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები და კითხვარები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს „კანდიდატის“ კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ „კანდიდატის“ მედეგობას, გაწონასწორებულობას, შრომისმოყვარეობას, პრინციპულობას, საქმისადმი ერთგულებას, ობიექტურობას, კორექტულობას, გულისხმიერებას, ლოგიკურ აზროვნებას. მიზანდასახულობას, პუნქტუალურობას, კეთილსინდისიერებას, დამოუკიდებლობას. რეკომენდატორები არ უთითებენ

კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს. გამოკითხული რესპონდენტები „კანდიდატის“ პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას კარგად იცნობენ. მათი აზრით, „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპონდენტები „კანდიდატს“ აფასებენ ძალიან კარგად.

2.1.3. „კანდიდატის“ შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის სამოსამართლო საქმიანობასთან და მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. „კანდიდატი“ სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორია, მცირედი ჯარიმებით. „კანდიდატის“ სახელზე რეგისტრირებულია უძრავი ქონება - ბინა - 79.92 კვ.მ., ქ. თბილისში. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

2.1.5. 2019 წლის დეკემბრიდან 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით, „კანდიდატს“ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტები არ უფიქსირდება.

2.1.6. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში „კანდიდატის“ მხარედ მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. იგი დაზარალებულად ცნობილია ორ საქმეზე, კერძოდ: 2022 წლის 27 აპრილს სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 366-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით; 2023 წლის 31 აგვისტოს სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 336-ე მუხლის მე-2 ნაწილით. „კანდიდატის“ მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

2.1.7. „კანდიდატს“ საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 100% შემთხვევაში. ასევე, საქმეთა 100% შემთხვევაში დაცული აქვს გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები. მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 96.6% შემთხვევაში. „კანდიდატს“, საანგარიშო პერიოდში (1016 დღე), დასრულებული აქვს 3674 საქმე, დღეში საშუალოდ 3,6 საქმე, რაც ძალიან კარგი შედეგია.

2.1.8. „კანდიდატმა“ წარმოადგინა მის მიერ განხილულ, 2 საქმეზე გამოტანილი განაჩენები.

2.1.9. „კანდიდატს“ მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში (მაგ: შეხვედრა თემაზე - „საკანონმდებლო და პრაქტიკული საკითხები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან მიმართებით“; სისხლის სამართლის პრობლემურ საკითხთა განხილვასთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა; სისხლის სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშო შეხვედრა და ა.შ.).

2.1.10. „კანდიდატს“ 2014 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2.1.11. „კანდიდატი“ ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

2.2. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

2.2.1. „კანდიდატის“ საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია. მას „საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე, სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატის“ პასუხები ძირითადად იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები არ იყო სრულყოფილი, კერძოდ: ამომწურავად ვერ ჩამოაყალიბა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნები და სხვა.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხუთივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის) მოთხოვნებს (თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია):

ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“;

ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა“;

გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა“;

დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“;

ე) „ფინანსური ვალდებულება“.

3.2. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, შესაბამისად მივიღე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. „კანდიდატს“ გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის კარგი ცოდნა. წარმოდგენილ გადაწყვეტილებათა შეფასების შედეგად, მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ სწორად აცნობიერებს მის მიერ საქმეთა განხილვა-გადაწყვეტისას გამოყენებული სამართლებრივი ნორმების შინაარსსა და სამართლებრივ დანიშნულებას. „კანდიდატს“ შესწევს უნარი მოიძიოს და განსახილველ სამართალურთიერთობას ადეკვატურად შეუფარდოს კონკრეტული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, საერთაშორისო აქტები და შეთანხმებები, აგრეთვე, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები. გასაუბრების შედეგად, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ზოგადად სამართლის თეორიულ საკითხებზე დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხი შინაარსობრივად შედარებით ზედაპირული და ნაკლებ მოცულობითი იყო.

4.1.2. „კანდიდატს“ გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი და მოსამართლედ მუშაობის სათანადო პროფესიული გამოცდილებაც. მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული და დამაჯერებელია. თუმცა, ამავდროულად, გასაუბრების პროცესში გაირკვა, რომ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, „კანდიდატს“ გაუჭირდა საკუთარი მოსაზრებების დამაჯერებლად ჩამოყალიბება.

4.1.3. „კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დავადგინე, რომ „კანდიდატი“ წერილობით აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, „კანდიდატის“ მსჯელობა ძირითადად ლოგიკური და ანალიტიკურია.

4.1.4. „კანდიდატი“ გამართულად მეტყველებს, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს ლოგიკურად, ღიაა და სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულს) ისმენს მოთმინებით.

4.1.5. „კანდიდატი“ პუნქტუალური, გულმოდგინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია, აღჭურვილია კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევებით. საქმეს ამზადებს ჯეროვნად და სათანადო პასუხისმგებლობით. მისი ქცევა სასამართლო დარბაზში ასევე არის სათანადო, რის გამოც ის სასამართლო სხდომას წარმართავს

კარგად, გადაწყვეტილებასაც იღებს დაუხმარებლად და დამოუკიდებელი აზროვნების საფუძველზე. აქვს სტრესულ სიტუაციაში სწრაფად მუშაობის კარგი უნარი, რის გამოც არის პროდუქტიული და ზედმიწევნით იცავს საპროცესო ვადებს. აღსანიშნავია, საქმეთა განხილვის თაობაზე მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის თანახმად, „კანდიდატს" საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 100% შემთხვევაში. ასევე, საქმეთა 100% შემთხვევაში დაცული აქვს გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები. მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 92.6% შემთხვევაში, საანგარიშო პერიოდში (1016 დღე), დასრულებული აქვს 3674 საქმე, დღეში საშუალოდ 3,6 საქმე, რაც ძალიან კარგი შედეგია.

4.1.6. „კანდიდატი" პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს. ამდენად, მას გააჩნია სათანადო ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაზე, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. მიმაჩნია, რომ „კანდიდატი" ახერხებს საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარების რეალიზებას.

4.1.7. „კანდიდატი" ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს ღიად და თავისუფლად. თუმცა, ამჟამად არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. „კანდიდატის" სამეცნიერო პუბლიკაციების ან სხვა სახის პროფესიული აქტივობისა და დამსახურებების თაობაზე ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის.

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს მოსამართველეობის კანდიდატი ეკატერინე კულულაშვილი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეფასდეს 91 ქულით.

1. სამართლის ნორმების ცოდნა - 19
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 18
3. წერის უნარი - 19
4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 13
5. პროფესიული თვისებები (მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში) – 14
6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 4
7. პროფესიული აქტივობა - 4

ვასილ მშვენიერაძე